www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2026 წლის იანვარი



09.03.2026
www.geostat.ge

09.03.2026

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში
2026 წლის იანვარი

2026 წლის იანვარში მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** 4.0 პროცენტით შემცირდა, ხოლო **წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით** გაიზარდა 4.3 პროცენტით.

მათ შორის:

- **საცხოვრებელი სეგმენტის ინდექსი** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 4.8 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 3.5 პროცენტით;
- **არასაცხოვრებელი სეგმენტის ინდექსი** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 1.9 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 17.7 პროცენტით;
- **სამოქალაქო სეგმენტის ინდექსი** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 4.1 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 0.9 პროცენტით.

მშენებლობის ღირებულების ინდექსი



09.03.2026

2026 წლის იანვარში მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** 4.0 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 24.5 პროცენტიანი შემცირებით, რამაც -4.38 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 4.3 პროცენტით. ინდექსის ზრდა, უმეტესწილად, გამოწვეული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 18.8 პროცენტიანი მატებით და სხვა ხარჯების კატეგორიის 4.8 პროცენტიანი ზრდით, რამაც შესაბამისად, 4.82 და 0.31 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში. ამასთან, **2022 წლის თებერვალთან შედარებით** მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 24.0 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის იანვარში მშენებლობის ღირებულების ინდექსები (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების და სეგმენტების შესაბამისი წვლილები.

სეგმენტი/ ხარჯების კატეგორია	2025 წლის დეკემბერთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2025 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
ჯამური CCI	**96.0**	**-4.03**	**104.3**	**4.34**
სამშენებლო მასალები	100.6	0.36	99.2	-0.50
ხელფასები	75.5	-4.38	118.8	4.82
მანქანა-დანადგარები	100.0	0.00	100.4	0.03
ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია	99.1	-0.08	97.7	-0.32
სხვა ხარჯები	101.2	0.07	104.8	0.31
CCI საცხოვრებელი სეგმენტი	**95.2**	**-1.97**	**103.5**	**1.63**
CCI არასაცხოვრებელი სეგმენტი	**98.1**	**-0.33**	**117.7**	**2.34**
CCI სამოქალაქო სეგმენტი	**95.9**	**-1.73**	**100.9**	**0.37**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

09.03.2026

მშენებლობის ღირებულების ინდექსის წლიური ცვლილების დეკომპოზიცია ხარჯების კატეგორიების მიხედვით



მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(წინა თვესთან შედარებით)



09.03.2026

მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით)



მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(2022 წლის თებერვალთან შედარებით)



საკონტაქტო პირები:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge